



საიამ და საფარმა საკონსტიტუციო სასამართლოს ქალების საპენსიო ასაკის გაზრდასთან დაკავშირებით

სასამართლოს მეგობრის მოსაზრება წარუდგინა

2023 წლის 25 მაისს, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ და საფარმა გაეროს ქალთა ორგანიზაციის ტექნიკური მხარდაჭერით საკონსტიტუციო სასამართლოს სასამართლო მეგობრის წერილობითი მოსაზრება წარუდგინა საქმეზე ბუღუ შეყილაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ. *მოსარჩელე საკონსტიტუციო სასამართლოში ასაჩივრებს სახელმწიფო პენსიის შესახებ კანონის იმ ნორმას, რომელიც ქალებისათვის პენსიის მიღების ასაკად ადგენს 60 წელს, ხოლო მამაკაცებისათვის - 65 წელს.* მოსარჩელე დავობს იმის თაობაზე, რომ იგი, როგორც მამაკაცი, ქალებთან შედარებით იმყოფება დისკრიმინაციულ მდგომარეობაში. სარჩელის დაკმაყოფილების შემთხვევაში, შესაძლოა ქალების საპენსიო ასაკი გაიზარდოს 60-დან 65 წლამდე და იგი გაუთანაბრდეს მამაკაცების საპენსიო ასაკს.

საია და საფარი მათ მიერ წარდგენილ სასამართლო მეგობრის მოსაზრებაში მიუთითებენ იმაზე, რომ მართალია, ქალი და მამაკაცი სამართლებრივი თვალსაზრისით არსებითად თანასწორნი არიან, თუმცა მატერიალურ რესურსებთან წვდომის თვალსაზრისით, ქალი და მამაკაცი ფაქტობრივად უთანასწორო მდგომარეობაში იმყოფებიან. საქმე იმაშია, რომ მშობიარობის და შვილის მოვლის გამო ქალებს, მამაკაცებთან შედარებით, არ აქვთ უწყვეტი შრომითი კარიერა. ამასთან, საოჯახო საქმეებში, ბავშვების, ოჯახის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე და უსაკოვანი ასაკის წევრების მოვლაში, უმეტესად ქალები ხარჯავენ დროსა და ენერგიას, რაც ქალებისთვის არის არაანაზღაურებადი შრომა. სასამართლო მეგობრის მოსაზრებაში მითითებული სტატისტიკა აჩვენებს იმას, რომ ქალები თავისი დროის დიდ ნაწილს არაანაზღაურებად შრომაში ატარებენ, ხოლო მამაკაცები ძირითადად ანაზღაურებად შრომას ეწევიან. აღსანიშნავია, რომ ოჯახის წევრებზე ზრუნვის მოტივით ქალები ხშირად უარს ამბობენ სამსახურზე, დაწინაურებაზე და შესაბამისად, სამსახურში გაზრდილ პასუხისმგებლობაზე მეტად, უწევთ აირჩიონ სამსახურში ნახევარ განაკვეთზე მუშაობა, რაც ნიშნავს კაცებთან შედარებით ნაკლები შემოსავლის მიღებას.

სტატისტიკა მიუთითებს, რომ ქალები მამაკაცებთან შედარებით ნაკლებად ხდებიან უძრავი ქონების მესაკუთრეები. ამის მიზეზია ტრადიცია, რომლის მიხედვითაც, ქონება მემკვიდრეობით გადადის მამაკაცებზე. ქალები უმეტესად წარმოდგენილნი არიან ძირითადად წვრილ ბიზნესში, ხოლო მსხვილ ბიზნესში ძირითადად მამაკაცები დომინირებენ. ამ გარემოების გათვალისწინებით, ნაკლებად

იმ ქვეყნებმა, რომლებმაც უკვე გაათანაბრეს, ან ახლო მომავალში გეგმავენ ქალებისა და კაცების საპენსიო ასაკის გათანაბრებას, ეს გადაწყვეტილება მას შემდეგ მიიღეს, რაც გაიზარდა ეკონომიკურად აქტიური ქალების რიცხვი და მოგვარდა ქალებისა და მამაკაცების შრომის არათანაბარი ანაზღაურების პრობლემა. სამწუხაროდ, იმავეს ვერ ვიტყვით საქართველოს მაგალითზე. შესაბამისად, კონსტიტუციის მე-11 მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული დროებითი სპეციალური ღონისძიება, ქალებისათვის ნაადრევი საპენსიო ასაკის არსებობის სახით, კვლავაც აქტუალურია.

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია GEORGIAN YOUNG LAWYERS' ASSOCIATION



სასამართლოს მეგობრის მოსაზრება იხილეთ [ბმულზე](#)